

კუპროქსატი® 34,5% კ.ს.

განეიტრალებული შავიანი თხევად ფორმულაციაში — არ საჭიროებს კირის დამატებას, შესაძლებელია შერევა მრავალ ფუნგიციდთან და ინსექტიციდთან. გამართლებულია ეკოლოგიური თვალსაზრისით

მოქმედი სანყისი: $CuSO_4 \cdot 3Cu(OH)_2 \cdot \frac{1}{2}H_2O$. 345 გ/ლ (190 გ/ლ სპილენძი)

კუპროქსატი — სპილენძის უმცირესი ფუნგიციდების ახალი სტანდარტი

კუპროქსატი წარმოქმნის კარგად შესამჩნევ და ნეიმებისადმი მდგრად გარსს, რომელიც არახელსაყრელი ამინდის დროსაც კი უზრუნველყოფს მცენარის საიმედო დაცვას.

მოქმედების მექანიზმი

აქტიური შემადგენელია სპილენძის იონი (Cu^{+}), რომელსაც შთანთქავს დაავადების გამომწვევი სპორა თავისი განვითარების დასაწყისში და აკუმულირდება მასში სპორის უჯრედებისათვის სასიკვდილო კონცენტრაციის მიღწევამდე. ფუნგიციდის მოქმედება მიმართულია სპორის გაღივების თავიდან ასაცილებლად, ამიტომ მისი შესხურება საჭიროა მცენარის დაავადებამდე.

ფოთლების დაფარვა

კონტაქტური ფუნგიციდების მაღალი ეფექტურობა მიიღწევა ფოთლების თანაბარი და სრული დაფარვის შედეგად. სწორედ ამ მოთხოვნას პასუხობს კუპროქსატის პრეპარატიული ფორმა, რომელიც შედგება 1 მიკრონზე მცირე ზომის უნვრილესი ნაწილაკებისაგან. ამის შედეგად დამუშავებულ ფართობზე ნაკლები ფუნგიციდი გროვდება, რაც უფრო მეტად გამართლებულია ეკოლოგიური თვალსაზრისით.



კუპროქსატი



სპილენძის ჩვეულებრივი ფუნგიციდი

რეკომენდაციები

ვაზი - ქრაქის წინააღმდეგ შესხურება იწყება 2-3 სმ დიამეტრის ფოთლების წარმოქმნიდან 7-10 დღის ინტერვალით კლიმატური პირობების გათვალისწინებით. კუპროქსატი დამუშავება ხელს უწყობს ვაზის ლერწის მომწიფებას და ზრდის ყინვაგამძლეობას.

პრეპარატის ხარჯვის ნორმა: 3-6 ლ/ჰა. სამუშაო ხსნარის ხარჯვის ნორმა 1000 ლ/ჰა.

კარტოფილი - შესხურება ხდება ფიტოფტოროზისა და სხვა სოკოვანი დაავადებების წინააღმდეგ სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში.

პრეპარატის ხარჯვის ნორმა 3-5 ლ/ჰა. სამუშაო ხსნარის ხარჯვის ნორმა 400-600 ლ/ჰა.

ვაშლი - ქეცის წინააღმდეგ პირველი შესხურების ოპტიმალური ვადაა მწვანე კონუსის ფაზა. ინფექციური ფონის და ამინდის გათვალისწინებით რეკომენდირებულია 2-4 შესხურება 7-10 დღის ინტერვალთ.

მგრძნობიარე ჯიშებზე ყვავილობის შემდეგ ნამლობა არ არის რეკომენდირებული.

პრეპარატის ხარჯვის ნორმა: 5 ლ/ჰა. სამუშაო ხსნარის ხარჯვის ნორმა: 1000 ლ/ჰა.

პამიდორი - შესხურება ხდება

ფიტოფტოროზის და მაკროსპოროზის წინააღმდეგ სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში.

პრეპარატის ხარჯვის ნორმა: 3-5 ლ/ჰა. სამუშაო ხსნარის ხარჯვის ნორმა 400-500 ლ/ჰა.

ნუფარმი

სანკტ-პეტერ-შტრასეს, 25
 ფ-4021 ლინცი/ავსტრია
 ტელ.: 0043-70-69 18/35 35
 ფაქსი: 0043-70-69 18/20 04
 ტელექსი: 22-13-24



ატაში - შესხურება გვიან შემოდგომაზე და ადრე გაზაფხულზე კვირტების დაბერვამდე. ვეგეტაციის პერიოდში ნამლობა რეკომენდირებული არ არის.

პრეპარატის ხარჯვის ნორმა: 7-10 ლ/ჰა. სამუშაო ხსნარის ხარჯვის ნორმა 1000 ლ/ჰა.

ლოდინის პარიოფი

შესხურება უნდა შეწყდეს მოსაგლის აღებამდე ვაზისათვის 25 დღით, კარტოფილისთვის 20 დღით, ვაშლზე 15 დღით, პამიდორზე 8 დღით ადრე.

თავსებადობა სხვა პრეპარატებთან

კუპროქსატი შეიძლება გამოვიყენოთ ნაზავებში მრავალ ფუნგიციდთან და ინსექტიციდთან ერთად. უცნობი პრეპარატის შემთხვევაში რეკომენდირებულია მცირე რაოდენობის შემოწმება შუშის ჭურჭელში სტაბილურობაზე. მომზადებული ნაზავი მაშინვე უნდა გამოვიყენოთ.

ტოქსიკურობა

პრეპარატი მცირედ ტოქსიკურია თბილისისხლიანებისთვის. არ აღიზიანებს კანს. არ არის შხამიანი ფუტკრისათვის.

რეგისტრირებულია საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მცენარეთა დაცვის სამსახურის მიერ
 სარეგისტრაციო № 123 (22.12.99.)

ოფიციალური დისტრიბუტორი: „გარემო და ანალიტიკა“, შპს საქართველო, თბილისი კოსტავას გამზ. 75ა, I სართ. ტელ./ფაქსი: 44 55 42, 44 55 43 e-mail: garemo@hotmail.com



კუპროქსატი® 34,5% კ.ს.

შაბიამანი თხევად ფორმულასიში
ეზა ფორმა გამოყენებისათვის



მაშავებელი ტრადიციების
საუკეთესო გაგრძელება

